საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

№1

10.01.2018წ.

ხობის მუნიციპალიტეტის სოფ ჭალადიდში შპს ,,ბილჯ ვოტერ''-ის სახიფათო ნარჩენების (ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების) განთავსების საწარმოს მიმდინარე საქმიანობაზე

საერთო მონაცემები:

საქმიანობის დასახელება: სახიფათო ნარჩენების (ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების) განთავსება.

საქმიანობის განმახორციელებელის დასახელება და მისამართი: შპს ,,ბილჯ ვოტერ''-ი, ქ. თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რ-ნი, კანკავას ქ. №3.

საქმიანობის განხორციელების ადგილი: ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭალადიდი.

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 27.12.2017 წ.

მონაცემები გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შემდგენელის შესახებ: შპს ,,ბილჯ ვოტერ''

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შეფასება

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს ,,ბილჯ ვოტერ''-ის მიერ წარმოდგენილია სახიფათო ნარჩენების (ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების) განთავსების საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

საწარმოს ტერიტორია მდებარეობს ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭალადიდის, კერძოდ მის სამხრეთ-დასავლეთით არსებული სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე. მიწის ნაკვეთის ფართობია 3 570 $მ^2$, რომელიც წარმოადგენს შპს „ბილჯ ვოტერ"-ის საკუთრებას (ს.კ. 45.18.25.244). უახლოესი საცხოვრებელი სახლი ტერიტორიის საზღვრიდან დაცილებულია 140-160 მ-ით, ხოლო მდ. რიონიდან დაცილება შეადგენს დაახლოებით 170 მ-ს. საწარმოს ტერიტორიას, მდ. რიონის მიმართულებით ესაზღვრება გრუნტიანი საავტომობილო გზა, დამცავი დამბა და შემდგომ მდინარისპირა მინდორი, რომელზეც მდებარეობს გზშ-ს ანგარიშში განხილული №7 ჭაბურღილი. აღნიშნული ჭაბურღილი საწარმოს ტერიტორიიდან დაცილებულია 120 მ-ით და მდ რიონიდან - 70 მეტრით.

საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია: 8 ერთეული 50 $მ^3$ ტევადობის მიწისზედა ლითონის რეზერვუარი; ტუმბო დანადგარები, თხევადი ნარჩენების რეზერვუარებში და შემდგომ ჭაბურღილში გადატუმბისთვის; ტექნოლოგიური მილსადენები; მომსახურე და ადმინისტრაციული პერსონალისათვის საჭირო სათავსებისთვის გამოყოფილი ერთსართულიანი შენობა. დღის განმავლობაში ხდება დაახლოებით 700$მ^3$ მოცულობის სახიფათო ნარჩენების განთავსება წელიწადში დაახლოებით 182 000$მ^3$.

წარმოდგენილი გზშ-ს ანგარიშის თანახმად საწარმოს ტერიტორიაზე შემოტანილი სახიფათო ნარჩენები (ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების) ტუმბოს საშუალებით იტვირთება ლითონის მიწისზედა რეზერვუარებში. რეზერვუარებიდან, ტუმბოს საშუალებით, ნარჩენების ჩაჭირხვნა ხდება ბაზის ტერიტორიიდან დაახლოებით 120მ-ის დაცილებით მდებარე ჭაბურღილში პლიოცენური ასაკის ქანების 1225-1277 მ შთანთქმის ინტერვალში.

შპს ,,ბილჯ ვოტერ''-ზე 2013 წლის 28 ნოემბერს, სამინისტროს მიერ გაცემულია #62 დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა სახიფათო ნარჩენების (ლიალური წყლების) გადამუშავებაზე. აღნიშნული დასკვნის ფარგლებში, საწარმო ახორციელებს ნახშირწყალბადების ნარევის გამოყოფას სეპარაციის მეთოდით და დარჩენილი, პირობითად სუფთა, ტექნიკური წყლის ჩაჭირხვნას ღრმა ფენებში საწარმოს მიმდებარედ არსებულ ჭალადიდის №7 ჭაბურღილის საშუალებით.

რაც შეეხება შპს "ბილჯ ვოტერ"-ის მიერ ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების სეპარირების გარეშე ჭალადიდის № 7 ჭაბურღილში ჩაჭირხვნას (რომელსაც შპს „ბილჯ ვოტერი" ახორციელებდა 2014 წლიდან შესაბამისი ნებართვის გარეშე), სამინისტროს მიერ გაიცა შპს ,,ბილჯ ვოტერ''-ის სახიფათო ნარჩენების (ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების განთავსება) განთავსების საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება #7; 28.07.2017წ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შპს „ბილჯ ვოტერ“-ი წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშის ტექსტურ ნაწილში ზოგან, ისევე როგორც ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშში კვლავ განიხილავს ბალასტური წყლების განთავსების საკითხს, ხოლო სამინისტროს მიერ გაცემული გადაწყვეტილების მიხედვით შპს „ბილჯ ვოტერ“-ს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების განთავსება.

2017 წლის 28 ივლისის №7 გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ შპს „ბილჯ ვოტერ“-ის მიმდინარე საქმიანობა შესაძლებელია წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკის მითითებულ ვადებში შესრულებისა და პირობების გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში შესრულების შემთხვევაში.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 47-ე მუხლის თანახმად, საქმიანობის განმახორციელებელი უფლებამოსილია მომართოს სამინისტროს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად, მის მიერ მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში სრულად შესრულების შემთხვევაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტიზისათვის დაწყებულ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, 2017 წლის 28 ივლისის №7 გადაწყვეტილებით დადგენილი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესწავლის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსდ ,გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელდა შპს "ბილჯ ვოტერ"-ის კუთვნილი სახიფათო ნარჩენების განთავსების საწარმოს ინსპექტირება. ინსპექტირების პროცესში სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გამოვლინდა, რომ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ არ არის შესრულებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ 2017 წლის 28 ივლისის №7 გადაწყვეტილებით დამტკიცებული გეგმა-გრაფიკით დადგენილი პირობები. კერძოდ:

- 2017 წლის IV კვარტალში და ასევე ინსპექტირების მომენტში არ იყო მოწყობილი ბაზის ტერიტორიის სამხრეთ პერიმეტრზე, საწრეტი არხის გასწვრივ 0.5-0.8 მ სიმაღლის თიხის ზვინული (გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული მე-3 პირობა);
- არ არის სრულყოფილად შესრულებული გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული მე-4 პირობა, საწარმოს ტერიტორიაზე დამაბინძურებელი ნივთიერებების დაღვრის სალიკვიდაციო ინვენტარის განახლებასთან დაკავშირებით.

ამასთან ინსპექტირებისას გამოვლინდა, რომ კომპანიის მიერ არ არის შესრულებული ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშით დადგენილი ვალდებულებები, კერძოდ:

- ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის (თავი - 6.4.1) ზემოქმედების შემცირების ღონისძიებების შესაბამისად, არ ხორციელდება ნარჩენებისა და მასალების სათანადო მენეჯმენტი;
- ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშში წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებების (ცხრილი 7.1.) შესაბამისად, საწარმოში ნარჩენების მართვისათვის არ არის გამოყოფილი სათანადო მომზადებული პერსონალი;

- ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შესაბამისად, არ ხდება პერსონალის სწავლება დამაბინძურებელი ნივთიერებების პრევენციის საკითხებზე;
- ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის (თავი - 6.4.1) ზემოქმედების შემცირების ღონისძიებების შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიაზე არ არის გამოყოფილი ნარჩენების განთავსებისთვის მარკირებული, ჰერმეტული კონტეინერები;
- ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის (თავი - 6.4.1) ზემოქმედების შემცირების ღონისძიებების შესაბამისად, არ შემუშავებულა ნარჩენების წარმოქმნის დროებით დასაწყობების და შემდგომი მართვის პროცესებისთვის სათანადო აღრიცხვის მექანიზმი;
- საწარმოს ტერიტორიაზე არ არის სრულყოფილი და განახლებული ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიაზე არ არის განთავსებული გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები;
- ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის (თავი - 6.4.1) ზემოქმედების შემცირების ღონისძიებების შესაბამისად, არ ხორციელდება/არ არის შექმნილი ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების სააღრიცხვო ჟურნალი;
- ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შესაბამისად, არ ტარდება წყლის, ნიადაგის, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის გავრცელების შემცირების ღონისძიებები;
- ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის შესაბამისად, არ ხორციელდება პერსონალის პერიოდული სწავლება და ტესტირება შრომის უსაფრთხოების საკითხებზე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე დადგინდა, რომ საქმიანობის განმახორციელების მიერ მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილი პირობები არ არის სრულად შესრულებული გეგმა-გრაფიკით განსაზღვრულ ვადებში.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სანებართვო დოკუმენტის მიხედვით უახლოესი საცხოვრებელი სახლი ტერიტორიის საზღვრიდან დაცილებულია 140-160 მ-ით, ხოლო მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში განხორციელებულია ობიექტიდან 500 მ-იანი რადიუსის გათვალისწინებით.

ვინაიდან საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #408 დადგენილებით დამტკიცებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტი“-ს თანახმად, „ზდგ ნორმები დგინდება საწარმოდან უახლოეს დასახლებულ პუნქტებთან მიმართებაში, მაგრამ არაუმეტეს საწარმოდან 500 მეტრის რადიუსის მანძილზე დაშორებისა“, გდგ-ს ნორმების დადგენა უნდა განხორციელებულიყო საწარმოდან უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში (140-160 მ).

ამასთან გასათვალისწინებელია, რომ გზშ ანგარიშში მოყვანილი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების რაოდენობა, გაფრქვევების საანგარიშო პარამეტრები და მეთოდოლოგია, ასევე გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და რაოდენობა განსხვავდება სამინისტროსთან 2013 წლის 19 ნოემბერს

„ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტით“ შეთანხმებული შესაბამისი მაჩვენებლებისგან.

შესაბამისად „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 30. პუნქტი 5) თანახმად, უნდა მოხდეს მათი ხელახლა შემუშავება და შეთანხმება ახალი პირობების გათვალისწინებით, ხოლო გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად წარსადგენ გზშ-ს ანგარიშს თან უნდა ახლდეს „მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოსდცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციას თანდართული უნდა ქონოდა საწარმოსთვის ხელახლა შემუშავებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი“.

დასკვნითი ნაწილი:

შპს ,,ბილჯ ვოტერ''-ის მიერ წარმოდგენილ სახიფათო ნარჩენების (ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების) განთავსების საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე არ გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება წინამდებარე გადაწყვეტილებაში აღნიშნულ გარემოებათა გამო. შპს „ბილჯ ვოტერ"-ი უფლებამოსილია სახიფათო ნარჩენების (ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების) განთავსების საწარმოს მიმდინარე საქმიანობა განახორციელოს, მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ 2017 წლის 28 ივლისის #7 გადაწყვეტილების შესაბამისად. შპს ,,ბილჯ ვოტერ''-ი უფლებამოსილია მომართოს სამინისტროს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით მას შემდეგ, რაც იგი სრულად შეასრულებს სამინისტროს მიერ დადგენილი პირობებსა და ვალდებულებებს და აღნიშნული პირობებისა და ვალდებულებების შესრულების ფაქტი დადასტურდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი

<u>მაია ბერაძე</u>
(სახელი, გვარი)

_____
(ხელმოწერა)

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-28

ქ. თბილისი

18/01/2018

შპს ,,ბილჯ ვოტერ''-ის სახიფათო ნარჩენების (ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების) განთავსების საწარმოს მიმდინარე საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემაზე უარის თქმის შესახებ

გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს 2017 წლის 27 დეკემბერს შპს ,,ბილჯ ვოტერ"-ის მიერ, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით წარმოდგენილია ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭალადიდში, სახიფათო ნარჩენების (ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების) განთავსების საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. წარმოდგენილი წერილითა და თანდართული დოკუმენტაციით დგინდება შემდეგი:

შპს ,,ბილჯ ვოტერ''-ზე 2013 წლის 28 ნოემბერს, სამინისტროს მიერ გაცემულია #62 დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა სახიფათო ნარჩენების (ლიალური წყლების) გადამუშავებაზე. აღნიშნული დასკვნის ფარგლებში, საწარმოს უნდა განეხორციელებინა ნახშირწყალბადების ნარევის გამოყოფა სეპარაციის მეთოდით და დარჩენილი, პირობითად სუფთა, ტექნიკური წყლის ჩაჭირხვნა საწარმოს მიმდებარედ არსებულ ჭალადიდის №7 ჭაბურღილში.

კომპანია 2014 წლიდან შესაბამისი ნებართვის გარეშე, ახორციელებდა ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების სეპარირების გარეშე ჭალადიდის № 7 ჭაბურღილში ჩაჭირხვნას, რაზეც სამინისტროს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიცა მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება #7; 28.07.2017წ. აღნიშნული გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილი იყო მოემართა სამინისტროსათვის და მიეღო შესაბამისი ნებართვა.

2017 წლის 27 დეკემბერს შპს ,,ბილჯ ვოტერ"-იმ მომართა სამინისტროს და ითხოვა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემა. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის

შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელდა შპს "ბილჯ ვოტერ"-ის კუთვნილი სახიფათო ნარჩენების განთავსების საწარმოს ინსპექტირება. ინსპექტირების პროცესში სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ (2018 წლის 11-12 იანვრის #DES 91800001720 და #DES 81800001909 წერილები) გამოვლინდა, რომ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სრულად არ არის შესრულებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ 2017 წლის 28 ივლისის №7 გადაწყვეტილებით დამტკიცებული გეგმა-გრაფიკით დადგენილი პირობები და ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშით განსაზღვრული კონკრეტული ვალდებულებები. გარდა ამისა, წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს თან არ ახლდა კანონმდებლობით დადგენილი „მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების, ასევე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს 47-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე კანონის I დანართის მე-16 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭალადიდში შპს ,,ბილჯ ვოტერ’’-ის სახიფათო ნარჩენების (ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლების) განთავსების საწარმოს მიმდინარე საქმიანობაზე არ გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება;
2. შპს ,,ბილჯ ვოტერმა’’ მიმდინარე საქმიანობა განახორციელოს ეკოლოგიური აუდიტის ანგარიშის, გარემოზე ზემოქმედების შემცირების ღონისძიებათა გეგმა-გრაფიკის შესაბამისად და უზრუნველყოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით (#7; 28.07.2017წ.) გათვალისწინებული პირობების შესრულება;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,ბილჯ ვოტერს’’;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,ბილჯ ვოტერის’’ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი